



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N205

2016 წლის 23 დეკემბერი  
ქ. ქობულეთი

სს „სილქნეტი“-სათვის  
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე  
თანხმობის მიცემის შესახებ

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა სს „სილქნეტი“-ს თანდართული სქემის შესაბამისად ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირი N554-ის მიმდებარედ სატელეფონო კანალიზაციის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე.


2. სს „სილქნეტმა“ უზრუნველყოს სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ს.ოქროპირიძე









მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი

გვერდი 1



ქობულეთში დავით აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ		სიგრძე: 14მ.	
პირობითი ნიშნები:		 <b>ს.ს. სილქნეტი</b> მისამართი: 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95 Tel: 570-707-706	
—	საპროექტო სატ. კანალიზაცია		
●	საპროექტო ჭა	საკადასტრო აღწერაზე პასუხისმგებელი პირი:	ლ. კალანდაძე
0.00 0.00 UTM, WGS 84 აზომვითი ნახაზი მომზადებულია დამკვეთის მიერ მითითებულ საზღვრებში		დაინტერესებული პირი:	ს.ს. "სილქნეტი"